ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32
2018 წლის 20 დეკემბერი

დაბა ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა 2019 წლის თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა 2019 წლის თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დანართი №-1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა 2018 წლის თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" (www.matsne.gov.ge, 010260020.35.115.016255, 06.02.2018წ.) ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 იანვრის №13 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გაზდელიანი**

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა 2019 წლისათვის

N	*თანამდებობათა დასახელება*	*თანამდებობრივი სარგო*	*შენიშვნა*
1	მერი	2650	
2	მერის პირველი მოადგილე	1700	
3	მერის მოადგილე	1600	
	I რანგი (მაღალი მმართველობის დონე)		
4	მერიის სამსახურის ხელმძღვანელი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1300	
	II რანგი (საშუალო მმართველობის დონე)		
5	განყოფილების უფროსი – II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1000	
	III რანგის (უფროსი სპეციალისტი)		

6	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელი (დ. ლენტეხი) I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900	
7	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში: რცხმელური, ხოფური, ხელედი, ჩოლური, ჟახუნდერი, ჩიხარეში, ცანა მერის წარმომადგენელი, I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	840	
8	მთავარი სპეციალისტი – I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	840	
9	მთავარი სპეციალისტი – II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	780	
	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)		
10	სპეციალისტი – I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	720	

დანართი №2

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა 2019 წლისთვის

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარობით)
	საკრებულოს თანამდებობის პირები	
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1100
	საკრებულოს აპარატი	
	I რანგი (მაღალი მმართველობითი დონე)	
6	აპარატის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1300
	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	
7	მთავარი სპეციალისტი – II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	780
	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)	
8	სპეციალისტი – I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	720